# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 55

დამატების № 10

კვირა, 3 აგვისტო 1914 წ.


## სულო!.

სულო!..

სულო, რადა, რად! რად შემირყიე, ეს ჩემი გული, დამწვარდაგული, დადუმებული?

გახსოვს, ეს გული მიყუჩებული? ვითა ზამთარში მთა, მინდორველი, თოვლისა ჩადრში გამოხვეული; მით უცნაურად მიძინებული?

სულო, ხომ გახსოვს, ეს ჩემი გული საიქაოთი როს დაიკოდა?!..

მით განუტეველ გარდაიცვალა... ვითა ყვავილი: ჩრდილში შობილი, მით უხილავი, მითი ჩაგრული დასჭკნა... და ვერა, უმზეოდ ვერ გაიხარა!

ბუნების შვილსა რა გაახარებს, თუ ტფობის სხივი არ ამოძრავებს?

—

სულო!..

სულო, განა არ გახსოვს?!..

მას შენ შთაბერე სიცოცხლის სული გაზაფხულისა; შენ ჩაუშუქე სხივები ზენა მაცხოვარისა... და მით ალუძარ: გრძნობა, წყურვილი ამა ქვეყნისა...

მაშ, სულო ჩემო, რისათვის სტოვებ, ვითა ობოლსა, შენით ანაძგერ, ამ ტიელ გულსა?..

უსულო გული ქვეყნად იგია, რომელს არა რა წარმოუშვია.

მაშ, სულო ჩემო, დარჩი ჩემშია...

და ჩემი გული: დაე ღელავდეს მბრწყინვალე მზისა თვალთ. მზერითა; დაე იდაგოს ამა ქვეყნისა ცეცხლის ალითა...

სულო!

ეს გული, დაე, დაე, დაიწვას დადნეს ჩემის სატრფოსთვის... ვითა სანთელი, მხოლოდ და მხოლოდ, სინათლისათვის!..

**ს. გლახაშვილი.**

## მოჯალაბე

**ისტორიული მოთხრობა.**

**(იხ. სურათებიანი დამატება № 9)**

ქალბატონს მართლაც ეძინა, მაგრამ სად იყო ის უზრუნველუდარდელი ძილი, რომელსაც ის დაბადებიდან იყო ჩვეული? იმ წამს ის გმინავდა, შფოთავდა, კვნთოდა და ხრიალებდა. ცხადად ეტყობოდა, რომ რაღაც დიდს გაჭირვებაში უნდა ყოფილიყო... მაგრამ შეხტა ერთიც და უეცრად წამოვარდა.

„ვაი ჩემს დღეს!—გამოღვიძებისათანავე მწარედ წამოძახა მან. —ჩემი მიქელი!.. სისხლის მორევში ცურავდა ჩემი მიქელი!.. კაი ამბავი არ არის ჩემს თავს! მეც შევცურდი ხისხლის მორევში; მინდოდა მივშველებოდი ჩემს მიქელს, მაგრამ ის უცებ ჩაძირა სისხლის მორევმა... ვაი-ვაი! მერე თავი არ ამოუყვია!.. ჩემო მიქელ! ჩემო მიქელ!“—წამოიძახა ერთხელ კიდევ და ნაკადულივით ჩამოუშვა ცრემლები. ჯერ კიდევ ლოგინში იჯდა ეს, როცა მეორე ოთახიდან მოესმა მწუხარების ხმა. უეცრად წამოვარდა, საჩქაროდ ჩაიცვა სუბუქად და შევარდა იმ ოთახში სადაც მიქელი იწვა და ელდა ეცა.

— მიქელი!—იწივლა ქალმა და გრძნობა მიხდილი დავარდა მომაკვდავის წინ.

სუსტ არსებას, ჯერ ის მწუხარება ვერ მოეოხებინა, რაც იგრძნო სიზმრად და რომ უცებ თვალწინ წარმოუდგა ცხადი სურათი მისი გულისძგერის გამომწვევი აჩრდილისა, მიუდუნდა სიმხნის ძაფები გულისა... როცა გრძნობას მოვიდა, წაივლო თმაზე ხელი და ის იყო, უნდა დაეკივლა, მაგრამ მოიკრიბა მიქელმაც უკანასკნელი ღონე და უთხრა:

— ჯერ არ მომკვდარვარ, ქალბატო! თუ მოვკვდი, ტირილს მერეც მეესწრები; ეხლა სათქმელი მაქვს და მომისმინე.

— მატყუებ, ვაჟბატონო, მატყუებ; ცოტა რამე შენ ვერ მეგერეოდა...

— კმარა, ნუ შემაწუხებ. მინდა ერთი დავალება გადმოგცე, დოუვიწყარი ვალი მმართებს ამ გიდელიასი... ყველამ მილალატა, ყველამ მიმტყუნა და ეს ერთი არ მომცილდა... შვილი ვერ მიზამდა: რაც მან მიქნა... სამაგიეროდ, ვათავისუფლებ ყმობისგან... გავალებ უბძანო: კარგად მოუარონ, უწამლონ და როცა მორჩეს გაატანე თავისუფლობის საბუთი, აჩუქე ჩემი ცხენ-უნაგერი, ჩემი იარაღები; ის ღირსია ჩემი ცხენ-უნაგირი და იარაღები ატაროს; დალოცე და გაუშვი... მაგრამ არა, ახლა დამიწერიე ქაღალდი და მომიტანე... ის მურზაყან ალმასხანიამ მაჩუქა; იმის ვალიც გმართებს.

მიქელისგან ხელმოწერილი, თავისუფლების საბუთი მზად იყო, რომელიც გაუწოდა თავადმა იქვე მდგომ ყმას. დავითი დავარდა მიქელის წინ, აკოცა მის მოწყალე ხელს და რავდენიმე უმანკო ცრემლი, დავითის თვალთაგან გადმოვარდნილი, დაგორდა თავადის ხელზე... ქალბატონის ბძანებით, დავითი წაიყვანეს ერთი გლეხისას, სადაც უნდა დაეწვინათ და ეწამლათ მისთვის.

საღამო ჟამს, განუსაზღვრელი მწუხარება ეწვია სასახლეს: მიქელი გარდაიცვალა. ქალბატონის კივილ-წივილი და მოთქმა ზარავდა მთელს სასახლეს; მოახლე ქალებიც იწეწავდნენ თმას და იკაწრავდნენ სახეს. ყმები გროვა-გროვა იდგნენ და ღმუოდნენ... სასახლის ამბავი მთელს სოფელს მოედო და, თითქო მოსე წინასწარმეტყველის უკანასკნელი სასწაულით პირმშო შვილები დახოციათო, თითოეული ოჯახიდან გლოვის ყვირილი და ვაი-უის ხმაურობა მოისმოდა, რაც დიდხანს არ შეწყვეტილა.

მეგრელთა საზოგადო ჩვეულებისაებრ, მეორე სიკვდილად ის ითვლებოდა, რომ გამოჩენილი თავადის ჩვეულებრივი ტირილის შესახებ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. ვის ახსოვდა მიცვალებული? ვის ახსოვდა ტირილი?.. მთელი ოდიში შიშის ზარს ქვეშ კანკალობდა! რუსის ჯარს დაეგდო ოდიში და იმერეთში გამაგრებულიყო; აბასთუმანში დაბანაკებული მილიციას გაქცევით ეშველებია თავისთვის; დედოფალი ქვაშიხორიდან გორდს გაქცეულიყო და იქიდან, თავის შვილებით, ლეჩხუმში გახიზნულიყო; ერთი ნაწილი მეგრელებისა მთებს შეფარებოდა, ზოგიც სხვა და სხვა მხარეს გაქცეულიყო და, ამის შემდეგ, ომერ-ფაშა დაპატრონებოდა ოდიშს.

გაიარა რამდენიმე კვირამ და დავითი საკმაოდ მოკეთდა, ჭრილობებიც თითქმის მოურჩა, თუმც ახალ ხორცზე ტკივილებს მაინც გრძნობდა. ამავე დროს, მან გაიგო, რომ ხონში დაბანაკებული მილიცია, რუსის ჯართან შეთანხმებით და თვით ეკატერინე დედოფლის წინამძღოლობით, დრო და დრო ეცემოდა ცხენი-წყლის პირად დაქსაქსულ თათრის ჯარს და თუმცა დიდ ვერაფერს აკლებდა, ავიწროებდა მაინც. ეს ცნობები მას სულიერ მოსვენებას არ აძლევდა: მისი გულიც იქით მიიწეოდა, იქით მიისწრაფოდა, სადაც მისი მოძმენი სამშობლოს გასანთავისუფლებლად სისხლს ღვრიდნენ. ის ალ-



სერბიის მემკვიდრე ალექსანდრე.



უმთავრეს შტაბის უფროსი
გენერ. ნ. მიხნევიჩი.



გენერალური შტაბის უფროსი
გენერ. იანუშკევიჩი.



ინგლისის ფლოტი საომრად გამზადებული.

სლავიანები.



ავსტრიელები.

სლავიანები.



უნგრელები.

ავსტრია-უნგრეთ. მცხოვრ. საერთო რიცხვში სლავიანობა უფრო მეტია, ვიდრე ავსტრიელები, სლავიანობა უდრის 52,5 პროცენტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრი
გრაფი ბერხტოლდი.

# სხვა და სხვა უმთავრეს სახელმწიფოთა
## ხარჯი ჯარზე და ფლოტზე:



**სამთა კავშირისა:**
(გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია): **1,555,000** ჯარის კაცი და მეზღვაური; სამხედრო ხარჯი— ერთი მილიარდი ას სამოცი მილიონი მანეთი.

**სამთა შეთანხმება:**
(ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი): **2,280,000** ჯარის კაცი, სამხედრო საჭიროებათა ხარჯები— 1 მილიარდი **990** მილიონი მანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაცებაში მოდიოდა ჩვენი მილიციის გამარჯვებით, მაგრამ ერთი რამ, ბასრი მახვილივით ჩაჩეხილიყო მის გონებაში: ეს იყო იმ აზნაურის სიტყვები, რომელმაც გააგებინა მას აბასთუმანში დაბარგებული მილიციის ვითომ და გულის ნადები.—„რა საძაგლობაა!—ამბობდა თავისთვის და ხან და ხან მოსაუბრესთანაც.—ერთი ვინმე მატყუარა შეადგენს აზრს და იმას მთელი ხალხის აზრად გამოაცხადებს!.. ხომ ტყუილი შეიქნა აზნაურის სიტყვა, რომელიც ამბობდა, რომ ჩვენ მხოლოდ ომის მოწმე ვართო. მართალია, აბასთუმანელი მილიცია, მართლაც მოწმე შეიქნა ომის, მაგრამ იქ უნდა გენახათ—იქ, ენგურის ომზე, რომ ცეცხლად მოედვა თათარს ჩვენი მილიცია! იმის ნახევარი ხელი რუსს რომ გამეელო, მეტი არ უნდოდა, უთუოდ დამარცხდებოდა თათარი! ოდიშის მილიცია საკვირველ ამბებს შვრებაო, ამბობენ... გულადია საბრალო ჩვენი კაცი, გულადი!“

ერთ საღამოს დავითი ეახლა ქვრივ ქალბატონს, შორიდან სალამი მისცა და მოახსენა, რომ ისევ მილიციაში აპირებს ჩარიცხვას. ქალბატონმა დაუყოვნებლად შეასრულა ქმრის ანდერძი: აჩუქა მიქელის საუმჯობესო ცხენ-უნაგირი, მისცა იმისივე ყირიმის თოფ,-ხმალხანჯალი, ჩერქეზული დამბაჩა, დალოცა და გაისტუმრა.

დავითი რომ მიქელის ბედაურზე შეჯდა, გულმა ხტუნვა დაუწყო; ეზო ნელის ნაბიჯით გაიარა და როს ჭისკარს გასცილდა, მათრახი გადაუშხუილა ცხენს და გაჭქუსლა... დავითი, ამ დროს, მხედარი იყო, ნამდვილი მხედარი, რომელიც ერთ წამს მაინც თვალს წარტაცებდა თვით მხდალსა და ლაჩარს... ის მიეჩქარებოდა ხონში და თუმც წინ სახიფათო გზა ედო, მაინც თავისას ა̄რ იშლიდა. ამ დროს ოდიშში მოგზაურობა და ისიც შეიარაღებული მხედრისთვის მეტად საშიში იყო. თუმცა ომერ-ფაშა სასტიკად სჯიდა თავის ჯარის კაცებს შეუიარაღებელ, მშვიდ მცხოვრებლებზე თარეშობა-ცარცვა-გლეჯისთვის, რითაც, ფიქრობდა ის, მეგრელთა გულის მოგებას, მაგრამ თათრის ჯარის ყველა სისაძაგლე როდი მიაწევდა ომერამდის, როცა ისინი აქა-იქ დაქსაქსულნი მოხერხებულად ეწეოდნენ მათთვის ძლიერ ხელსაყრელ ხელობას! ესეც არ ყოფილიყო, შეიარაღებული მეგრელის თვითნებობას ომერ-ფაშაც სასტიკად სდევნიდა. დავითმა ეს კარგად იცოდა; იცოდა აგრედვე, რომ ოდიშ-იმ ერთს შუა გზები ყოველგან შეკრული იყო და მიმოსვლა შეწყვეტილი, რისთვისაც ტყესა და ღრეს მისცა თავი. ის მეტად ფთხილად და ფეხ-აკრეფით მიიპარებოდა უგზო ადგილებით და მიზანსაც აწევდა... ცოტა კიდევ და ცხენი წყლის ჩხრიალიც მოესმა, იმედი გაუორკეცდა და ალტაცებას მიეცა, მაგრამ აქ კი ვერ აიცდინა ხიფათი: მთვარიანს ღამეში მან ჩინებულად გაარჩია მისკენ მიმავლელი სამი თათარი.

— „რა ტრიალს მინდორზე დავრჩი! ვერც წინ, ვერც უკან! ეჰე! აი სად მელება ბოლო!.. მაგრამ არა, წახდენა რა ვაჟკაცობაა! კაცობაც ახლა უნდა! ღმერთო მაღალო, შენ მომიმართე ხელიო“,—პირჯვრის წერით წამოიძახა მან თავისთვის, ფიცხლად ჩამოხტა ცხენიდან და მათრახის ტარი წაუკაკუნა ცხენს მუხლზე. გაგეშილი ცხენი იმავ წამს გაიშხლართა მიწაზე, მას გვერდით ამოუწვა მხედარი და მოიმარჯვა თოფი. თათრის დარაჯები სახტად დარჩნენ. მათ ნათლად გაარჩიეს მათკენ მიმავალი მხედარი, მასთან ანგარიშის გასაწევად გაემართა სამივე და იმავ წამს, თითქო მიწამ ჩანთქაო, ნიშანში ამოღებული მოპირდაპირე უჩინარი შეიქნა. ისინი გაეჩქარნენ იქით, სადაც მოჩვენება მოელანდათ და მეტად მწარე წუთიც დაუდგათ: იხუვლა თოფმა და იკვნესა ერთმა დარაჯთაგანმა. სანამ სხვა ორი გონს მოვიდოდა, დავითს მზად ჰქონდა დატენილი თოფი; იგრიალა კიდევ თოფმა და შეიწირა მეორე თათარიც. დავთრებ დაბნეულმა მესამემ—იბრუნა პირი გასაქცევად, მაგრამ მასაც ბოლო მოუღო დავითის ჩერქეზულმა დამბაჩამ. თოფის ხმას ბანი მისცეს აქაიქ დაქსაქსულ თათრის დარაჯების თოფებმაც, მაგრამ სანამ დარაჯები ერთ გამორკვეულ გზას დაადგებოდნენ, დავითმა სამივე თათარს წასჭრა თავი, ერთ მათგანს გააძრო ფართეპირიანი შარვალი, ჩაყარა მასში თავები, მოუკრა პირი და შემოაკრა უნაგირს; წამსვე აჰყარა იარაღებიც, აჰკიდა ცხენს, მოახტა თითონაც და დასჭყივლა მის უებარ მეგობარს. ცხენი გაჰქრა... კიდევ რა̄დენიმე წუთი და დავითი, მშვიდობით ცხენი წყალს გასული, არხეინად უყურებდა როგორ ირეოდნენ მეორე ნაპირზე თათრები და ჰაერში სცლიდნენ თოფებს.

მეორე დილას ეკატირინე დედოფლის წინ ეწყო თათრის თავები, მათივე იარალი და შორი-ახლო მოწიწებით იდგა თვით დავითიც, რომელსაც უკვე მოეხსენებინა დედოფლისთვის თავისი თავგადასავალი.

— ყოჩაღ, ჩემო გიდელია, ყოჩაღ! შენი სამსახური დაუვიწყარია. ითხოვე რაც გინდოდეს და ვეცდები სამსახურის შესაფერად დაგაჯილდოო,—უბრძანა დედოფალმა დავითს.

— ჯილდო არაფელი მინდა, დედოფალო! დაჯილდოებული ვიქნები, თუ თათრის კვალი ოდიშში ამოვარდება, როცა დედოფალს თავის ტახტზე დევინახავ და მეც ჩემს საწყალ კერას მიუბრუნდები. მანამ, დედოფალო, იმსახურე ჩემი თავი; მოვსულვარ გემსახურო და გთხოვ პირშავად არ გამაბრუნო უკან,—თამამად მოახსენა დავითმა და დაიჩოქა ორთავ მუხლებზე.

— უფრო ყოჩაღ, ჩემო გიდელია! შენს სამსახურს დავიხსომებ... ადექ, ჩარიცხული ხარ ჩემს მამაც მილიციაში.

ხმა, რომელიც ესმოდა დავითს, რომ ოდიშის მილიციას თვით დედოფალი წინამძღვრობსო, მართალი გამოდგა მიუხედავად იმისა, რომ ზამთრის სუსხიანი ამინდები იდგა, ნაბადში გახვეული და ყაბალახით თავშეკრული დედოფალი მიუძღოდა თავის მილიციას მტრის წინაალმდეგ; რჩებოდა ცხენზე ხშირად მთელის კვირაობით, როგორც უბრალო მეომარი და ღამით ღარიბი გლეხის ქოხსაც არ წუნობდა დაძინებას.

ამავე დროს ხმა გავრცელდა, რუსის ჯარმა ყარსი აიღო და დიდძალი ჯარი გამოიგზავნა ოდიშის გასანთავისუფლებლადო. ეს ის დრო იყო, როცა თვით იმერეთიც კანკალებდა ომერ-ფაშას შიშით, როცა თვით ქუთაისიც იცლებოდა: ხაზინა და საქმის ქაღალდები გადაჰქონდათ ტფილისში, მცხოვრებლები მეათედ ფასად ჰყიდდნენ ქონებას და იხიზნებოდნენ; ერთის სიტყვით ემზადებოდნენ დაუპატიჟებელი სტუმრის მისაღებად... მაგრამ გაიგეს თუ არა, რომ მურავიოვისაგან გამოგზავნილმა ჯარმა სურამის მთა გადმოაგდოო, როგორც ხალხში, ისე დაშინებულ რუსის ჯარშიაც სიცოცხლე აღსდგა. მხოლოდ, რამდენად გულს ეფონა, ამ ამბით, ძლეულ-დაძაბუნებულ რუსის ჯარს, ორი იმდენად თავზარი დასცა მან ომერ-ფაშას. ის წინ და წინვე მიხვდა, რომ რაკი ყარსში რუსის ჯარმა გაიმარჯვა და იქიდან დაბრუნებულ ძალამ მისთვის მოიცალა, მას ოდიშში არ ედგომებოდა; შემოიერთა აქა-იქ დაქსაქსული თავის ჯარი და იბრუნა პირი დასავლეთისკენ... მაგრამ აქ ვაიზე უი დაერთო თათრის ჯარს: დასავლეთ სამეგრელოში 40—50 ვერსის მანძილზე გზები გახაზულიც არ იყო და ისეთი წუმპეები იდგა თვალ-გადაუწვდენელ ტყესა და ღრეში, რომ არა თუ ზამთრით, თვით ზაფხულის ხანგრძლივ გვალვებშიაც თითო-ოროლა კაცისთვისაც საძნელო იყო აქა-იქ გაძრომგამოძრომა. რაკი ყულევით განიზრახა გაქცევა ომერ-ფაშამ, ამ უვალ და ჯოჯოხეთურ ადგილებს ვერ აიცდენდა გასავლელად თავბედი აქ იწყევლა. ჯარის კაცები იფლობოდნენ ტლაპოებში და იყინებოდნენ, ელრჩობოდათ ბედაურები, გზა-გზა მძიმე ბარგს სტოვებდნენ ტანჯვა-წამებით მოლოღავდნენ არაქათ გამოლეულნი. ამავე დროს, არ ეძინა ადგილობრივ მილიციასაც: ის, ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილი, მოხერხებულ ადგილებზე ეცემოდა გაქცეულ თათრის ჯარს და ხოცვა-ჟლეტით მიერეკებოდა ყულევისაკენ ნოჭიხევით და ხორგით.

აბარგდა ზუგდიდიდანაც ისკანდერ-ფაშაც თავისი ჯარით, რომელიც ზუგდიდის სამთავრო სასახლეში განისვენებდა და ისიც ყულევისაკენ გაემართა, მაგრამ მგზავრობა კი ცუდი მოუხდა: გზაზე დაეცა მილიციის ჯარი, ნახევარზე მეტი ჯარი გაუჟლიტა და ბევრიც ტყვედ წამოასხა. ამით გარისხებული ფაშა, გაბრუნდა უკან, გადასწვა ზუგდიდი, ცეცხლს მისცა სასახლეც, აჩეხა და გაანადგურა სასახლის ძვირფასი ბაღიც და გაბრუნდა. ის ყულევში შეუერთდა ომერ-ფაშას, სადაც ისინი, თავის ჯარით, შავი ზღვის ხომალდებმა ჩანთქეს.

განთავისუფლდა ოდიში თათრის ჯარისგან, მაგრამ თითონ კი დარჩა აოხრებულ-გატიალებული... ამ საზოგადო გალატაკების დროს, დაზარალებულმა თავად-აზნაურობამ მოითხოვა გაძვალ-ტყავებულ ყმებისგან აღდგენა განადგურებული ეზო-კარმიდამო-სასახლეებისა და მათგანვე მიღება თათრისგან წართმეული სარჩო-საბადებელისა და ქონებისა... მაგრამ, როგორც ზემოთ ნათქვამი იყო, პირველად დავითმა უარჰყო თავადი მურზაყან ალმასხანიას ამგვარი მოთხოვნა.

(შემდეგი იქნება).

კირილე წუთისოფლელი.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.

რედაქტორ გამომცემელი დ. ჯორჯაძე.